

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03

პროგრამის დასახელება:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2020-2023 წლები

პროგრამის მიზანი:

ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბათუმის, როგორც შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციას. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქალაქში რეგულარულად იმართება საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები, რაც ქალაქის ცნობადობის გაზრდას, პოპულარიზაციასა და ქალაქში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს.

პროგრამის მიზნის მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

1. კულტურული ღონისძიებების მართვა;
2. ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები;
3. კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
4. საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა;
5. კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

პროგრამის ბიუჯეტი

| დასახელება | სულ | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი |
|--------------------------------------------------------------|-------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| კულტურული ღონისძიებების მართვა | 6 240 000 | 1 087 700 | 1 705 700 | 1 710 800 | 1 735 800 |
| ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები | 3 968 000 | 989 000 | 989 000 | 995 000 | 995 000 |
| კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა | 360 000 | 90 000 | 90 000 | 90 000 | 90 000 |
| საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა | 2 499 057 | 499 057 | 600 000 | 700 000 | 700 000 |
| კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა | 760 000 | 180 000 | 180 000 | 200 000 | 200 000 |
| სულ პროგრამა | 13 827 057 | 2 845 757 | 3 564 700 | 3 695 800 | 3 720 800 |

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება

დამატებითი ინფორმაცია

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | | | | | | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური) | მოგროვების მეთოდი |
|-----------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|----|------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------|-------------------|
| | 2019 წელი (საბაზისო) | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2023 წელი | | | | | |
| ხელშეწყობილია ქალაქში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება | ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა (არანაკლებ) | 95 | 95 | 95 | 95 | 95 | რაოდენობა | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია | მონიტორინგი |
| | კულტურის სფეროში დაფინანსებული თავისუფალი ინიციატივების რაოდენობა (არანაკლებ) | 15 | 18 | 18 | 20 | 20 | რაოდენობა | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია | მონიტორინგი |
| | ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების რაოდენობა (არანაკლებ) | 27 | 27 | 27 | 27 | 27 | რაოდენობა | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია | მონიტორინგი |

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03 01

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული ღონისძიებების მართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

| | |
|------------------------|------------------|
| დასახელება | 2020 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 1 069 700 |
| სხვა წყარო | 18 000 |
| სულ ქვეპროგრამა | 1 087 700 |

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული ღონისძიებების ეფექტური მართვის გზით ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურება და ქართული კულტურის პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი“ 10 წლისაა. იგი განთავსებულია საზაფხულო თეატრის შენობაში და აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. ცენტრის სტრუქტურა მოიცავს ადმინისტრაციულ, შემოქმედებით, სცენის ტექნიკურ და საზაფხულო თეატრის პერსონალს, მეგობრობის სახლისა და კახაბრის კლუბის წევრებს. ცენტრის შემადგენლობაშია 9 შემოქმედებითი კოლექტივი, ცენტრის მიზანია ქართული ფოლკლორის, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაცია, საშემსრულებლო ღონისძიებების, მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებების შეთავაზება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან ჩამოსული მაცურებლისთვის.

ცენტრის შემდგომი განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ცენტრის ადამიანური რესურსისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაძლიერება/განახლება, შემოქმედებითი კოლექტივების და ცენტრის ადმინისტრაციის პროფესიული ზრდის მიზნით, მათი პერიოდული გადამზადება, საერთაშორისო, თუ ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა და სხვ. მნიშვნელოვანია კულტურული ღონისძიებების გამრავალფეროვნება, ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მორგებული იქნება ყველა თაობის ადამიანებისათვის და სანახაობრივად საინტერესო და მრავალფეროვანი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმრებისათვის, ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დღეებში გამართული ღონისძიებები გარდაიქმნება შთამბეჭდავ სანახაობად.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის კულტურის ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, კულტურის ცენტრის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, საზაფხულო თეატრის შენობის რეაბილიტაციას, დიდი და პატარა სცენისათვის საჭირო მასალების შექმნას და სხვ.

| დასახელება | პროდუქტები | | | |
|------------------------------------------------------|-------------|------------|----------------|----------------|
| | განზომილება | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| მართვა-ადმინისტრირება | კაცი | 107 | 8 164 | 873 520 |
| <i>ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება</i> | კაცი | 46 | 7 574 | 348 400 |

| | | | | |
|--------------------------------------------------------|------|----------|-------|------------------|
| შემოქმედებითი პერსონალის შრომის ანაზღაურება | კაცი | 10 | 9 900 | 99 000 |
| სცენის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | კაცი | 37 | 9 276 | 343 200 |
| საზაფხულო თეატრის პერსონალის შრომის ანაზღაურება | კაცი | 5 | 8 400 | 42 000 |
| მეგობრობის სახლის წევრების შრომის ანაზღაურება | კაცი | 4 | 4 680 | 18 720 |
| კაზაბრის კლუბის წევრების შრომის ანაზღაურება | კაცი | 5 | 4 440 | 22 200 |
| საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | | | | 209 680 |
| ოფისის ხარჯი | | | | 123 980,00 |
| ადამიანური რესურსების გადამზადება (სწავლება) | კაცი | 9 | 433 | 3 900,00 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | კაცი | 6 | 7 800 | 46 800,00 |
| უსაფრთხოების დაცვის ხარჯი | | | | 35 000,00 |
| მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება | | 3 | | 4 500 |
| კომპიუტერის შეძენა | ცალი | 3 | 1 500 | 4 500,00 |
| სულ ქვეპროგრამა | | | | 1 087 700 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|-------------------------------------------------|------------|------------|------------|------------|
| მართვა-ადმინისტრირება | X | X | X | X |
| საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | X | X | X | X |
| მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება | X | X | X | X |

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

უზრუნველყოფილია კულტურული ღონისძიებების ეფექტური მართვა

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | სამიზნე მაჩვენებელი | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|---------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------|---------------------|------------------|--------------------------------|------------------|----------------------------------------|-------------------|
| უზრუნველყოფილია კულტურული ღონისძიებების ეფექტური მართვა | გადამზადებული პერსონალის რაოდენობა | 9 | რაოდენობა | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | კვარტალში ერთხელ | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | მონიტორინგი |
| | ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა (არანაკლებ) | 60 | რაოდენობა | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | კვარტალში ერთხელ | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | მონიტორინგი |
| | კულტურული ღონისძიებებში დამსწრე პირთა რაოდენობა (არანაკლებ) | 15 000 | რაოდენობა | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | კვარტალში ერთხელ | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | მონიტორინგი |

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

| | |
|------------------------|----------------|
| დასახელება | 2020 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 989 000 |
| სხვა წყარო | 0 |
| სულ ქვეპროგრამა | 989 000 |

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმისათვის, როგორც ტრადიციებით მდიდარი ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აღნიშვნა. ამ თარიღების აღნიშვნით, ჩვენი ისტორიული წარსულისა და დამოუკიდებლობისათვის მეზრძოლ გმირთა უკვდავსაყოფად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ქალაქის დღის და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნით, მრავალფეროვნდება ქალაქის კულტურული ცხოვრება, იზრდება ქალაქის ცნობადობა და ვითარდება კულტურული ტურიზმი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეზრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა;
- 9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბათუმობის ღონისძიებები;
- ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები.

| დასახელება | პროდუქტები | | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------|-------------|-----------|----------------|------------|
| | განზომილება | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | ღონისძიება | 1 | 1 000 | 1 000 |
| 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეზრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა | ღონისძიება | 1 | 1 000 | 1 000 |

| | | | | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|---|---------|----------------|
| 9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | ღონისძიება | 1 | 1 000 | 1 000 |
| 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | ღონისძიება | 1 | 5 000 | 5 000 |
| 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | ღონისძიება | 1 | 80 000 | 80 000 |
| 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | ღონისძიება | 1 | 50 000 | 50 000 |
| 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; | ღონისძიება | 1 | 1 000 | 1 000 |
| ბათუმობის ღონისძიებები | ღონისძიება | 1 | 500 000 | 500 000 |
| ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები | ღონისძიება | 1 | 350 000 | 350 000 |
| სულ ქვეპროგრამა | | | | 989 000 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|------------|
| 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | X | | | |
| 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა | X | | | |
| 9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | | X | | |
| 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | | X | | |
| 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება | | X | | |
| 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | | X | | |
| 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; | | | X | |
| ბათუმობის ღონისძიებები | X | X | | |
| ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები | X | | | X |

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება

დამატებითი ინფორმაცია

2019 წელს ქ. ბათუმის მერიის მიერ ჩატარდა ფეისბუქ-გამოკითხვა „ბათუმობის“ გაზაფხულზე, კერძოდ, კი 28 აპრილს გამართვის მიზანშეწონილობის შესახებ. როგორც ცნობილია, 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. გამოკითხვის შედეგად მოქალაქეთა 72% - მა მხარი დაუჭირა აღნიშნულ ცვლილებას.

2020 წლის 28 აპრილი ემთხვევა სამუშაო დღეს, ღონისძიებაში საზოგადოების ფართო მასების ჩართვის მიზნით, ბათუმობის დღესასწაული გაიმართება მაისის დასაწყისში, პირველივე დასვენების დღეს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | სამიზნე მაჩვენებელი | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------|---------------------|------------------|--------------------------------|------------------|----------------------------------------|-------------------|
| უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება | ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა | 9 | რაოდენობა | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | კვარტალში ერთხელ | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | ანგარიში |
| | კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა (არანაკლებ) | 1000 | რაოდენობა | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | კვარტალში ერთხელ | ა(ა)იპ ბათუმის კულტურის ცენტრი | ანგარიში |

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03 03

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

| დასახელება | 2020 წელი |
|------------------------|---------------|
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 90 000 |
| სხვა წყარო | 0 |
| სულ ქვეპროგრამა | 90 000 |

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

2016 წლის პირველი ივლისიდან საქართველოში ძალაშია და ამოქმედდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ყველა მუხლი. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნილ ვალდებულებებში ერთ-ერთი ძირითადი დირექტივა კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას ეხება, იუნესკოს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ“ 2005 წლის კონვენციის (კონვენციის რატიფიცირება საქართველოს მთავრობამ მოახდინა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან) პრეამბულაშივეა გაცხადებული ყველა ის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ყოველი დემოკრატიული ქვეყნის კულტურის პოლიტიკის საბაზისო დოკუმენტის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, კერძოდ: კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რომლის დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელია თითოეული ადამიანის საკეთილდღეოდ; საქართველო აღიარებს, რომ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად; საქართველო უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას.

ჩვენი ქალაქის კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს უდიდესი ტრადიცია, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და განვითარების პოზიტიური გამოცდილება. კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ქალაქის სიმდიდრეს და დემოკრატიული და სტაბილური განვითარების რესურსს.

2008 წელს, ქ. ბათუმში, ეთნიკური უმცირესობებისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ გაიხსნა „მეგობრობის სახლი“, რომელიც ამჟამად 9 ეთნიკურ უმცირესობას აერთიანებს. ეს ეთნიკური უმცირესობებია: აზერბაიჯანული, ბერძნული, გერმანული, ებრაული, თურქული, იეზიდური, რუსული, სომხური და უკრაინული.

ბათუმში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობა არის დაცული, თუმცა, ამავდროულად საჭიროა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შემადგენელი ელემენტების – ენის, ტრადიციების, შემოქმედების ნიმუშებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების სრულფასოვანი მონაწილეობისათვის დამატებითი პირობების შექმნა. ამ მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბათუმში მოქმედი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების კულტურული პროექტების (მათ შორის გამოფენა, კონცერტი, საღამო, წიგნების გამოცემა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დღის აღნიშვნა და სხვ) მხარდაჭერასა და წახალისებას.

| დასახელება | პროდუქტები | | | |
|-----------------------------------------------------------------------------------|-------------|-----------|----------------|---------------|
| | განზომილება | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| ბერძნული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| გერმანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| ებრაული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| თურქული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| იეზიდური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| რუსული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| სომხური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| უკრაინული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | პროდუქტი | 1 | 10 000 | 10 000 |
| სულ ქვეპროგრამა | | | | 90 000 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|-----------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|------------|
| რუსული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| სომხური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| ებრაული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| უკრაინული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |

| | | | | |
|-------------------------------------------------------------------------------|---|---|---|---|
| იეზიდური ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| თურქული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| ბერძნული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |
| გერმანული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება | x | x | x | x |

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები

დამატებითი ინფორმაცია

ბათუმში მოქმედი თითოეული ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიერ წლის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტების საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასი) ლარს.
 პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს დადგენილი განაცხადის ფორმის შესაბამისად და მას უნდა ერთოდეს წერილი ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორის სახელზე პროექტის აღწერით. პროექტს უნდა ერთოდეს თანხმობის წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია ღონისძიება. თანადაფინანსების მქონე პროექტს უნდა ერთოდეს თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 პროექტის განაცხადის ფორმა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | სამიზნე მაჩვენებელი | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|----------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------|---------------------|------------------|----------------------------------|------------------|----------------------------------------|-------------------|
| წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები | ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა (არანაკლებ) | 27 | რაოდენობა | ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“ | კვარტალში ერთხელ | ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“ | მონიტორინგი |

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

| | |
|-----------------------------------------|----------|
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | 05 03 04 |
|-----------------------------------------|----------|

ქვეპროგრამის დასახელება:

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

| | |
|------------------------|----------------|
| დასახელება | 2020 წელი |
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 499 057 |
| სხვა წყარო | 0 |
| სულ ქვეპროგრამა | 499 057 |

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმში საერთაშორისო ფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ქალაქი, ფართო რეგიონული მასშტაბით, ჩამოყალიბდა როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. აღნიშნულის საუკეთესო დასტური კი ქ. ბათუმში გამართული საერთაშორისო ფესტივალებია, რომლებიც უამრავ ადგილობრივ და უცხოელ მაყურებელსა და მსმენელს იზიდავს და ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 20 სექტემბრის N1124 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შერჩეული პროექტების (საერთაშორისო ფესტივალების) მხარდაჭერას, რაც გაზრდის კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას, უცხოელი მაყურებლისა და მსმენელის მოზიდვას, ქალაქისა და ქვეყნის პოპულარიზაციას, ბათუმელი ხელოვანების შემოქმედებით ზრდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მხარს დაუჭერს შემდეგ ფესტივალებს:

1. მოზარდთა ხელოვნების I საერთაშორისო „მეგობრობის ფესტივალი“ -
 ფესტივალი მოიცავს 4 საკონკურსო-საფესტივალო კომპონენტს: მხატვრობა-ფოტოგრაფიას, ქორეოგრაფიას, ვოკალს და ორკესტრს.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება პრეს-კონფერენცია, საზეიმო მსვლელობა, გახსნის ცერემონიალი, კონკურსანტთა შერჩევა, ფოტოგრაფიით და მხატვრობით დაინტერესებულ ბავშვებს მიეცემათ საშუალება, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოაწყონ ფოტო გადაღებები და შექმნან მხატვრული ჩანახატები, გაიმართება სხვა საკონკურსო-საფესტივალო ღონისძიებები, მოეწყობა დახურვის ცერემონიალი და კონკურსანტთა დაჯილდოება.

2. შავი ზღვის საერთაშორისო საოპერო კონკურსი „ოქროს ხმა“ საერთაშორისო ფესტივალის „ბათუმური რაფსოდია“-ს ჩარჩოებში -
 ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ფესტივალი-კონკურსის საზეიმო გახსნა, კონკურსანტთა რეპეტიციები, კონკურსის პირველი ტური, საფესტივალო დღე, კონკურსის მე-2 ტური. გალა კონცერტი და მონაწილეთა დაჯილდოება. ფესტივალი-კონკურსში მონაწილეობას მიიღებს 50-მდე უცხოელი, 50-ზე მეტი ადგილობრივი შემსრულებელი. კონკურსს შეაფასებს საერთაშორისო ჟიური. სულ გაიმართება 250-ზე მეტი აქტივობა.

| |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>3. „ბათუმი თბილისის XII საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ - საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, 1982 წელს ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ხელოვანის, დაფუნქციონირებულია და მისი უშუალო პატრონაჟით ხორციელდება. ფესტივალი იმთავითვე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოში.</p> <p>2009 წლიდან ფესტივალი, ლიანა ისაკაძის ინიციატივითა და ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით ბათუმში აღდგა და და 2020 წელს ის ბათუმში მეთორმეტედ გაიმართება. საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის 2011 წელს ლიანა ისაკაძემ შექმნა მსოფლიო კამერული ორკესტრი „ვირტუოზები“, რომელშიც გაერთიანდნენ ქართველი და ცნობილი უცხოელი მუსიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი).</p> <p>2018 წლიდან, ლიანა ისაკაძის გადაწყვეტილებით, ორკესტრის შემადგენლობაში გაერთიანდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსები და ამ პერიოდის ორკესტრს „საქართველოს ვირტუოზები“ ეწოდა. ეს არის უნიკალური კოლექტივი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით მოღვაწე მუსიკოსებს, რომლებსაც ეძლევათ შესაძლებლობა წარუდგინონ თავიანთი ხელოვნება და გაუზიარონ უცხოეთში მიღებული გამოცდილება როგორც ბათუმელებს, ასევე ქალაქის სტუმრებს.</p> <p>ფესტივალი ტრადიციულად თავაზობს მსმენელს როგორც ქართული და მსოფლიო კლასიკური მემკვიდრეობის, ასევე, თანამედროვე მუსიკის საუკეთესო კმნილებებს, რასაც განსხვავებული ინტერპრეტაციით ასრულებენ მსოფლიოში აღიარებული სოლისტები.</p> |
| <p>4. „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალის მიზანი, ავთენტური ხალხური და სასულიერო მუსიკის პოპულარიზაციაა, რომელიც ემსახურება ქართული მრავალხმიანობის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც სამემსრულებლო, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით. ფესტივალში მონაწილეობას იღებენ ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ჯგუფები ავთენტური შესრულების მანერით.</p> <p>ფესტივალზე ჩამოსულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ქართულ ფოლკლორულ ტრადიციებს და ამ ტრადიციების თანამედროვე ხედვას სამეცნიერო კონფერენციებითა და ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტური ფილმების საშუალებით. ფესტივალზე ყოველწლიურად გათვალისწინებულია ქართველი რეჟისორების რამდენიმე ფილმის ჩვენება.</p> <p>ფესტივალის ფარგლებში, ყოველწლიურად, სამი დღის განმავლობაში, ტარდება ეთნომუსიკოლოგიისა და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები. კონფერენციაზე განიხილება ტრადიციული კულტურის აქტუალური საკითხები.</p> <p>ფესტივალის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადგილობრივი გუნდების მასტერ - კლასებით უზრუნველყოფა. მასტერ-კლასებს ატარებენ ფოლკლორის ეროვნული ცენტრის გამოცდილი ეთნომუსიკოლოგები.</p> <p>ფესტივალს ეწვევა 80 სტუმარი საქართველოს რეგიონებიდან და უცხოეთიდან, აქედან 35 - მდე მონაწილე იქნება უცხოელი, რომელთაც მიეცემათ შესაძლებლობა, გაეცნონ ქართულ ტრადიციულ კულტურას. ფესტივალის მიმდინარეობის პროცესში უცხოელი მონაწილეები შეისწავლიან და შეასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და საგალობლებს.</p> |
| <p>5. „ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“ - ფესტივალი 2013 წელს დააფუძნა იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ, რომელიც ყოველწლიურად, დიდი წარმატებით იმართება ქალაქ ბათუმში. ფესტივალის ფარგლებში 7 წლის მანძილზე ჩატარდა 50-ზე მეტი კონცერტი. ფესტივალის ფარგლებში, ბათუმს ესტუმრებიან მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები, 2020 წელს დაგეგმილია 10-12 კონცერტი ჩატარება ქართველი და უცხოელი მოწვეული არტისტების მონაწილეობით.</p> <p>ფესტივალის მთავარი აქცენტი ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობაა, რაც მას განსაკუთრებულ იდენტობასა და მნიშვნელობას სძენს. ასევე, ფესტივალის მიზანია, საქართველოში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და ზოგადად, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება სპეციალურად შემუშავებული სამუსიკო - საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით. ფესტივალის ფარგლებში მოხდება ქართველი არტისტების როგორც საზღვარგარეთ პოპულარიზაცია, ასევე უცხოელი ვარსკვლავების დაინტერესება და მოწვევა საქართველოში. ფესტივალში მონაწილე გამორჩეული მუსიკოსები მიწვეულნი იქნებიან საზღვარგარეთ საერთაშორისო პროგრამებში და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად.</p> |
| <p>6. ბათუმის მინი ფილმების ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს კადრი“ - ფესტივალის იდეაა აღმოაჩინოს და კინოხელოვნების მოყვარულებს გააცნოს ნიჭიერი ბავშვები და მათი შემოქმედება. ბავშვები ფესტივალისთვის ფილმების მომზადების პროცესში შეხვდებიან პროფესიონალ და ცნობილ კინორეჟისორებს, სცენარისტებს, ოპერატორებს, მონტაჟის რეჟისორებს, გაეცნობიან თანამედროვე კინო-ტექნოლოგიებს. საკონკურსო ფილმებს ფესტივალის კომპენტენტური ჟიური გამოავლენს გამორჩეული იდეის, შინაარსის, კრეატიულობის, ხედვის და გადმოცემის ხერხების მიხედვით. ფესტივალს ეყოლება მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შევლენ, ცნობილი ხელოვანები და კინომცოდნეები. ფესტივალი ითვალისწინებს სხვადასხვა ნომინაციების მინიჭებას, კერძოდ: საუკეთესო სცენარი, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო ოპერატორი, საუკეთესო მსახიობი გოგონა, საუკეთესო მსახიობი ვაჟი, საუკეთესო ფილმი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, მაყურებლის რჩეული ფილმი და საუკეთესო მუსიკისთვის ერთ რჩეულ ფილმს გადაეცემა გია ყანჭელის სახელობის ჯილდო.</p> |

| |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>7. „საავტორო კინოს ბათუმის XV საერთაშორისო კინოფესტივალი -BLIAFF" -</p> <p>ბათუმის კინოფესტივალი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებად ჩამოყალიბდა. ფესტივალი ხელს უწყობს კინემატოგრაფისტთა შორის კულტურული ურთიერთობების დამყარებას, საავტორო კინოს და ქართული კინოს პოპულარიზაციას. კინოფესტივალი ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბათუმის და აჭარის რეგიონის პოპულარიზაციაში, ხელს უწყობს ტურისტული სეზონის გაგრძელებას და ნაკლებადაქტიურ პერიოდში ტურისტების მოზიდვას, განსაკუთრებით კი შიდა ტურიზმის სტიმულირებას. ფესტივალს ჰყავს თავისი ერთგული მაყურებელი, რომლის რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება. ფესტივალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბათუმის კულტურული ცხოვრების გააქტიურებისთვისაც - კინომოყვარულებს საშუალება აქვთ დიდ ეკრანზე იხილონ თანამედროვე კინოს სიახლეები, შეხვდნენ და დაესწონ ცნობილი კინოხელოვანების მასტერკლასებსა და პრეზენტაციებს. ფესტივალის ფარგლებში განვითარდა ინდუსტრიული პლატფორმა (ინოვაციური კინოპროექტების ხელშეწყობა, ცნობილი უცხოელი პროდუსერების და რეჟისორების მიერ ჩატარებული ვორქშოპები), რაც ძალიან პოზიტიურ როლს ასრულებს ქართული კინოინდუსტრიის განვითარების საქმეში და კიდევ უფრო ზრდის ფესტივალის სტატუსს, ინტერესს მის მიმართ და ხელს შეუწყობს ბათუმის პოპულარიზაციას თანამედროვე კინოსამყაროში, როგორც კინოგადღებისთვის საინტერესო ლოკაციას.</p> <p>კინოფესტივალის პროგრამა შედგება შემდეგი სექციებისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> - მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსები; - არასაკონკურსო სექცია: რეტროსპექტივები (დიდი რეჟისორების ფილმების კრებული), დიდოსტატთა კოლექცია (გამოჩენილი რეჟისორების უახლესი ნამუშევრები), სპეციალური ჩვენებები და ქართული პანორამა (ქართული კინოს უახლესი ნამუშევრები). <p>2020 წელს მე-15 კინოფესტივალზე სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი იქნება დაახლოებით 50 სრულმეტრაჟიანი და 30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მსოფლიოს 24-25 ქვეყნიდან.</p> |
| <p>8. „Black Sea Sound" -</p> <p>მუსიკალური ფესტივალი „Black Sea Sound“-ი 2014 წელს, ბათუმში დაარსდა. მისი მიზანი ქართველი ხელოვანების, განსაკუთრებით კი საავტორო, ექსპერიმენტული მუსიკის წარმომადგენლების მხარდაჭერა და საზოგადოებისათვის მათი შემოქმედების გაცნობაა. ფესტივალი ქართველ, თუ უცხოელ მსმენელს სხვადასხვა მრავალფეროვან აქტივობას სთავაზობს, მათ შორის: ქუჩის მუსიკის კონცერტები, დიდი კონცერტები ღია ცის ქვეშ, მცირემასშტაბიანი კონცერტები/სადამოები, ექსპერიმენტული მუსიკის კონცერტები ბათუმის დრამატულ თეატრში, ტრენინგები, ვორკშოპები ხელოვანებისათვის, შეხვედრები/სადამოები მუსიკოსებთან, პროდიუსერებთან და სხვ.</p> |
| <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო ფესტივალების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.</p> |

| დასახელება | პროდუქტები | | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|-----------|----------------|----------------|
| | განზომილება | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| „მოზარდათა ხელოვნების I საერთაშორისო მეგობრობის ფესტივალი“ | ფესტივალი | 1 | 15 000 | 15 000 |
| შავი ზღვის საერთაშორისო საოპერო კონკურსი „ოქროს ხმა“ საერთაშორისო ფესტივალის „ბათუმური რაფსოდია“-ს ჩარჩოებში | ფესტივალი | 1 | 60 000 | 60 000 |
| „ბათუმი თბილისის XII საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ | ფესტივალი | 1 | 99 957 | 99 957 |
| „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი“ | ფესტივალი | 1 | 20 100 | 20 100 |
| „ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“ | ფესტივალი | 1 | 80 000 | 80 000 |
| ბათუმის მინი ფილმების ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს კადრი“ | ფესტივალი | 1 | 30 000 | 30 000 |
| „საავტორო კინოს ბათუმის XV საერთაშორისო კინოფესტივალი -BLIAFF“ | ფესტივალი | 1 | 179 000 | 179 000 |
| „Black Sea Sound“ | ფესტივალი | 1 | 15 000 | 15 000 |
| სულ ქვეპროგრამა | | | | 499 057 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| დასახელება | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|------------|
| „მოზარდთა ხელოვნების I საერთაშორისო მეგობრობის ფესტივალი“ | | x | x | |
| შავი ზღვის საერთაშორისო საოპერო კონკურსი „ოქროს ხმა“ საერთაშორისო ფესტივალის „ბათუმური რაფსოდია“-ს ჩარჩოებში | | | x | x |
| „ბათუმი თბილისის XII საერთაშორისო ფესტივალი „დამის სერენადები“ | | | x | |
| „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი“ | | | | x |
| „ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“ | | | x | |
| ბათუმის მინი ფილმების ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს კადრი“ | | x | | |
| „სავტორო კინოს ბათუმის XV საერთაშორისო კინოფესტივალი -BIAFF“ | | | x | |
| „Black Sea Sound“ | | x | x | x |

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

ხელშეწყობილია ბათუმში საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | სამიზნე მაჩვენებელი | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|----------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|---------------------|----------------------|---------------------------------------------------------------------------------|------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
| ხელშეწყობილია ბათუმში საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება | ბათუმში ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა (არანაკლებ) | 8 | რაოდენობა | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება | კვარტალში ერთხელ | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | მონიტორინგი |
| | ფესტივალების ფარგლებში გამართული ვორკშოპების/მასტერკლასების რაოდენობა (არანაკლებ) | 15 | ვორკშოპი/მასტერკლასი | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება | კვარტალში ერთხელ | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | მონიტორინგი |

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 03 05

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

| დასახელება | 2020 წელი |
|------------------------|----------------|
| მუნიციპალური ბიუჯეტი | 180 000 |
| სხვა წყარო | 0 |
| სულ ქვეპროგრამა | 180 000 |

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უმნიშველოვანესი გამოწვევაა კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, რაც თავად კულტურის განვითარებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში და ინიცირებული პროექტების განსახორციელებლად მიიღოს მხარდაჭერა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) კონკურსის წესით შერჩევას. პრიორიტეტი მიენიჭება ინოვაციურ, აქტუალურ პროექტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შშმ პირთა ინიციატივების მხარდაჭერას, ასევე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით განსახორციელებელი პროექტების (მათ შორის ქორეოგრაფიული და ხალხური სასიმღერო ხელოვნების მიმართულებით მასტერკლასების) დაფინანსებას, ასევე შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეებისა და ხელოვნების ახალი სახეობების მხარდაჭერას. ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ხელოვნების და ხელოვანთა თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას, ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით კულტურულ ღონისძიებებში მოქალაქეების მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მიმართ საზოგადოების ინტერესის გაზრდას. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტები უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2020 წლის განმავლობაში და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება, მეორე ეტაპი - დოკუმენტების განხილვა. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება. დოკუმენტაცია შემდეგ გადაეცემა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს, რომელიც წარუდგენს კომისიას ინფორმაციას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტების დეტალური განხილვა.

შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. განაცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე. გამარჯვებულს გამოავლენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ქვეპროგრამის განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის: განაცხადების მიღების ვადა, განსახილველად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით. მის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტით.

| დასახელება | პროდუქტები | | | |
|-----------------------------------------|-------------|-----------|----------------|----------------|
| | განზომილება | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება | პროექტი | 18 | 10 000 | 180 000 |
| სულ ქვეპროგრამა | | | | 180 000 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| დასახელება | | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|-----------------------------------------|-----------------------------------------|------------|------------|------------|------------|
| კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება | კომისიის შექმნა და დებულების დამტკიცება | x | | | |
| | განაცხადების მიღება | x | x | x | |
| | განაცხადების განხილვა | x | x | x | |
| | დაფინანსება | x | x | x | x |

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)

- მხარდაჭერილი და განხორციელებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროში ინიცირებული პროექტები.
- გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 18 პირის დაფინანსების შემდეგ, ქვეპროგრამის ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 18 პირზე მეტის დაფინანსება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | სამიზნე მაჩვენებელი | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|--------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|---------------------|------------------|---------------------------------------------------------------------------------|------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|
| 1. მხარდაჭერილი და განხორციელებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროში ინიცირებული პროექტები. | დაფინანსებულ პირთა (პროექტების) რაოდენობა | 18 | რაოდენობა | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება | კვარტალში ერთხელ | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | მონიტორინგი |
| 2. გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა | წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა (არანაკლებ) | 50 | რაოდენობა | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება | კვარტალში ერთხელ | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | მონიტორინგი |
| | პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობა (არანაკლებ) | 5400 | რაოდენობა | განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება | კვარტალში ერთხელ | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | მონიტორინგი |